

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2014 წლის II კვარტალი


(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების (პირდაპირი და პორტფელი)** მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 151 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საბანკო სექტორში ცვლილება გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან თანხის გადადინებამ უცხოურ პორტფელის ინვესტიციებში (ცხრილი №1).

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2011-2014 წლებში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2014* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინფორმაციის წყაროების მიხედვით 2011-2014* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013				2014*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	210	248	317	343	261	218	199	234	252	208	255	227	265	151
მათ შორის:														
საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევა	163	199	204	288	198	198	150	182	175	139	206	175	173	228
საფინანსო სექტორი	40	46	64	52	60	19	49	50	78	68	46	52	92	-78
დანარჩენი წყარო	7	3	49	3	3	1	0	1	0	0	2	0	0	0

ცხრილი №2 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2011-2014 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის II კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 480 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2014* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013				2014*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	210	248	317	343	261	218	199	234	252	208	255	227	265	151
მათ შორის:														
შემომავალი ნაკადები	315	334	437	509	358	312	345	414	443	618	621	551	407	480
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-106	-86	-121	-166	-97	-95	-146	-180	-191	-410	-366	-324	-142	-330

*წინასწარი მონაცემები.

2014 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №3):


ცხრილი №3. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2014 წლის II კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013				2014*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	210	248	317	343	261	218	199	234	252	208	255	227	265	151
მათ შორის:														
ნიდერლანდები	39	21	108	74	-99	69	34	32	36	30	38	48	81	93
აზერბაიჯანი	20	29	43	46	15	26	-5	23	42	16	-13	37	47	77
ლუქსემბურგი	2	2	9	30	26	6	2	8	2	117	11	12	11	48
თურქეთი	16	22	28	10	6	16	40	19	-4	36	17	-7	30	25
რუსეთი	21	12	8	14	5	1	11	4	2	-3	-11	14	20	18
აშშ	-26	52	-25	28	13	-2	18	-9	16	18	22	-11	18	15
კვიპროსი	20	1	2	-13	22	6	6	4	6	-111	-11	10	6	11
შვეიცარია	1	5	13	9	2	4	-3	7	12	3	-1	3	6	8
ჩინეთი	3	0	4	2	2	1	18	15	13	75	2	-1	2	6
საფრანგეთი	8	0	2	-3	15	1	3	6	-3	3	5	6	4	6
დანარჩენი ქვეყნები	104	105	124	146	253	90	75	124	129	23	194	116	42	-157

*წინასწარი მონაცემები.

2014 წლის II კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების წილი პროცენტულად შემდეგნაირად განაწილდა: პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 62 პროცენტით, მეორეზე აზერბაიჯანი – 51 პროცენტით, ხოლო მესამეზე ლუქსემბურგი – 32 პროცენტით. მსგავსი პროცენტული თანაფარდობა გამოწვეულია სწორედ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების რეკლასიფიკაციით არარეზიდენტ პორტფელის ინვესტორებად**.

დიაგრამა №2.



*წინასწარი მონაცემები.

რაც შეეხება უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას, მთლიან შემომავალ ნაკადებში შემდეგნაირი განაწილებაა: ნიდერლანდები 28 პროცენტი, აზერბაიჯანი - 19 პროცენტი და ლუქსემბურგი - 10 პროცენტი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2014 წლის II კვარტალის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2014* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013				2014*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	210	248	317	343	261	218	199	234	252	208	255	227	265	151
მათ შორის:														
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1	61	29	37	-8	48	22	11	36	28	51	26	44	101
დამამუშავებელი მრეწველობა	48	24	18	30	71	34	20	43	16	28	13	43	46	58
ენერგეტიკა	38	-7	82	91	30	59	45	45	52	71	74	48	12	45
უძრავი ქონება	9	57	49	109	16	14	0	24	-12	13	32	10	11	41
მშენებლობა	20	23	5	1	1	4	9	28	5	49	-3	0	6	21
სამთომოპოვებითი მრეწველობა	20	-7	12	15	8	-14	10	1	16	8	8	11	15	11
სოფლის მეურნეობა	2	2	6	4	5	5	5	1	1	2	4	5	1	5
საფინანსო სექტორი	38	27	48	56	66	16	49	33	64	15	49	38	89	-127
დანარჩენი სექტორები	33	69	68	0	74	52	40	47	75	-6	28	47	42	-5

*წინასწარი მონაცემები.

2014 წლის II კვარტალში ყველაზე მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში განხორციელდა და 101 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფება დამამუშავებელი მრეწველობა 58 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერგეტიკა 45 მლნ. აშშ დოლარით.

- წყარო:**
1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
 2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
 3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

**მოცემულ შემთხვევაში პირდაპირი ინვესტორის პორტფელის ინვესტორად რეკლასიფიკაცია გულისხმობს, რომ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორი (ფლობს საწარმოს აქციების 10 პროცენტს და მეტს), შეიცვალა არარეზიდენტი პორტფელის ინვესტორებით (ფლობენ აქციების 10 პროცენტზე ნაკლებს). დეტალური მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე "საქართველოს საგადასახდელო ბალანსი" (2014 წლის II კვარტალის მონაცემები გამოქვეყნდება მ/წ 30 სექტემბერს).

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.